

საგაზეთო

ეროვნული
ნიუსპირობა

საერთოული გაზეთი


პარასკევი 23 თებერვალი 2001 №31 (1304)

ზასი 50 თეთრი

ისტორია ინტერის გამო



ინტერი — ალავესი. „სან სიროს“ ტრიბუნებზე აგარდნილი ალი კრისტინ ვიერის, ალვარო რეკობას და მათ თანაგუნდელებს ძვირად დაუჯდებოდა



გუშინინ „ლაციო“, გუშინ „პარმა“, „რომა“ და „ინტერი“ —

იტალიური ლეგიონი

ევროტურნირებზე სწრაფად შეთხელდა, უეფადან კი სულაც გაქრა.

ესპანელებმა კი გაილალეს — უეფას თასს შემორჩენილი რვა გუნდიდან ოთხი ესპანურია. ევროპაში პირველად გასულმა „ალავესმა“ „ინტერი“ შეინირა. მინდორზე წამოსულმა სკამების წვიმამ თამაში დროებით შეაჩერა. მეოთხე მსაჯმა 90 წუთისთვის ათის დამატებაც ბრძანა, მაგრამ მალევე ხელი ჩაიქნია, გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა — „ინტერის“ ფანობა უკვე პრეზიდენტის ლოყას უტყვდა... „რომა“ ესპანელმა დალუპა. ლივერპულელ მარკუს ბაბელს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა და მოედანი დატოვა. ესპანელმა არბიტრმა ხოსე გარსია არანდამ პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა, მაგრამ სანამ რომაელები ხარობდნენ, აზრი შეიცვალა და, კუთხურიო...

იხილეთ მეორე გვერდი

14 ფეხბურთიდან მოტაცებული მორაბბე



ტულონელი ვიბ ლაბაძე ელიტისკენ იწევს

15 მეფური დასველების მოლოდინები

მსოფლიოს მძიმეწონოსანი ჩემპიონი ლენოქს ლუისი აფრიკაში იჩნუბებს

სიზანნიუვილი დანდისას უნდა

გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტნისგან ვითრე ნემსაძისაგან ასეთი ამბავი შევიტყვევთ: მისი ამჟამინდელი კლუბი, შოტლანდიური „დანდი“ დიდადაა დაინტერესებული, კიდევ ერთი ქართველი, ზურაბ ხიზანიშვილი გადაიბიროს, ავეისტომდე თავისთან ათამაშოს და მერე რამდენიმეწლიანი, საკმაოდ ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზოს.

— რამდენიმე დღეა, მწვრთნელი ივანო ბონეტი ზურაბ ხიზანიშვილზე მელაპარაკება და ძალიან სურს, ის „დანდიში“ გადმოიბიროს. „დანდიდან“ უკვე დაუკავშირდნენ ზურას აგენტს, მაგრამ მას ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი უთქვამს. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან, ფაქტი კი ისაა, რომ ჩვენს გუნდს დღესდღეობით დაცვაში უჭირს და მწვრთნელს კარგი მცველის დამატება სურს. ივანო ბონეტიმ ხიზანიშვილის თამაში იტალია — საქართველოს მატჩისას ნახა და ძალიან მოეწონა, მითხრა, სწორედ ასეთი ფეხბურთელი გვჭირდებაო. ერთი სიტყვით, ზურა ხიზანიშვილს „დანდიში“ ეპატიჟებიან და, როგორც ვიცი, თუ აქ ჩამოვიდა, საკმაოდ ნორმალურ პირობებს შესთავაზებენ.

ამჟამად კი, ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისშია და, ალბათ, უახლოეს მომავალში იმ კლუბის ვინაობაც გაირკვევა, სადაც ჩვენებური მცველი კარიერას გააგრძელებს.

კობა ინასარიძე



ზურაბ ხიზანიშვილი შოტლანდიაშიც ეპატიჟებიან

მურამ დოლიძის ფოტო



უეფას თასი. მერვედფინალის საპასუხო მატჩები. 22 თებერვალი

ინტერი (იტალია) 0:2 ალპაგსი (ესპანეთი) (3:3)
 01 კრუიფი (78), 02 ტომიზი (83)
 ინტერი: ფრეი, ჩირილო (პაჩეკო 84), ბლანი, კორდობა, ბროკი (ზედოროვი 46), ძანტა, ფარინოსი, დი ბიანო, სერენა (ფერარი 70), რეკობა, ვიერი
 ალპაგსი: ერერა, კონტრა, ცენი, ტალესი, გელი, დესიო, ბერგანი (მაგნი 46), პაბლო (ალონსო 46), ტომიზი, კრუიფი, ხავი მორენო (პაჩეკოსკოლიტა 82)
 მსაჯე: გ. ბარბერი (ინგლისი)
 9 845 მყურებელი

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1:0 სლავია (ჩეხეთი) (0:0)
 01 ლოკვეცი (59)
 კაიზერსლაუტერნი: გ. კონი, რამზი, პ. კონი, შტრასერი, ბუკი, ბასლერი, ვორკაიფი, ზრისტოვი, პეტრუსონი (რეიზი 90), ლოკვეცი (მარშალი 85), კლასი
 სლავია: ჩერნი, სუხოპარეკო, სუსკაჩევიჩი, სამკოვიჩი, ლ. დოშეკი, ულხი, პისკი (კრუიფი 69), დოშტა-ლეკი, პეტროუმი (სეანკარა 78), ტ. დოშეკი, ზელენკა
 მსაჯე: ვ. ივანოვი (რუსეთი)
 28 000 მყურებელი

ბარსელონა (ესპანეთი) 5:0 ავპ (საბერძნეთი) (1:0)
 01, 20 ლუსი ერრიკე (22, 31), 30 რივალდო (57), 40 ლუსი ერრიკე (60), 50 სერარდი (87)
 ბარსელონა: რენა, გამბრი, რაიციგერი, ფ. დე ბური, სერბი, გვარდიოლა (ხავი 58), კოკუ, ლუსი ერრიკე (სერარდი 66), რივალდო, ოვრმარსი (სანტამარია 46), კლუივერტი
 ავპ: ატიციდისი, კოსტინოლუ (ფრუზეზი 41), კაპსისი, დელასი, კასაპისი, ზიკოსი, ლაკისი, მალაფენისი (ზაგორაკისი 36), რუისი, ცარტასი (პეტკოვი 73), ნიკოლიდისი
 გაძევება: კაპსისი (29)
 მსაჯე: ს. ბრასკი (იტალია)
 50 000 მყურებელი

პარმა (იტალია) 3:2 კსკ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (1:2)
 01 რომერდელი (32), 02 კეჰანი (45), 12, 22 მილოშევიჩი (64, 69), 32 მონტანო (90)
 პარმა: ბულონი, ფ. კანაგრო, ტორიზი, პ. კანაგრო (მონტანო 78), ფენიორი, ლამუში (ბოლანო 55), აბია, ფუზერი, დი ვალი, კონსინსაო ამორიზო (მილოშევიჩი 45)
 კსკ ეინდჰოვენი: ვანდერვესი, იორი, ნიკოლოზი, პოლანდი, შინდელ, ვან ბომელი, ვოგელი (დოლენი 90), რომერდელი (კოლაკი 80), ბუმა, კეჰანი, დე იონგი (ლუსიუსი 87)
 მსაჯე: კ. კოლუმბი (საფრანგეთი)
 11 883 მყურებელი

სელტა (ესპანეთი) 2:1 შტუტგარტი (გერმანია) (0:0)
 01 კარბინი (6), 11 ბლანკი (45), 21 მოსტოვი (85)
 სელტა: ბინტუ, ველასკო (ედუ 60), კასერესი, ბერიზო, იაგო, ვანერი (ბაიო 82), ვოგანელა, კარბინი (ედუ 82), მოსტოვი, გუსტავო ლოპესი, კატანია
 შტუტგარტი: მილდენბრანდი, ბლანკი, ბორდონი, სოლდო, ტიამი, კარნელი, ბინტუ, შინდელ, ლისტერი (დანი 40), კაუფი, განკა (ტიფერტი 53)
 მსაჯე: პ. კოლინი (იტალია)
 20 000 მყურებელი

ბორდო (საფრანგეთი) 1:2 რაიო ვალეკანო (ესპანეთი) (1:4)
 01 სემბრანოსი (20), 11 მინგო (24), 21 ბოლო (50)
 ბორდო: რამე, გრენე (ფენდუნი 46), როზე, სომეილი, სისტო, სმურტინი, ლეგენსკი (აფანუ 81), ბატლე (როუ 19), დუგარი, ლასლანდი, პოლეტი
 რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ალკასარი, დე კინტანა, ბილესტროსი, მინგო, პედრონი, პოშერი, კვიდო (გლასკო 60), მიჩელი (სტეფანსი 73), სემბრანოსი, ბოლო (ბოლინი 52)
 გაძევება: რამე (18)
 მსაჯე: ს. დუგალი (შოტლანდია)
 22 000 მყურებელი

ლივერპული (ინგლისი) 0:1 რიმა (იტალია) (2:0)
 01 გიგუ (70)
 ლივერპული: ვესტერფელდი, ენოსი, ციგე, ბაბელი, პიოპა, პეანა, მაკალისტერი, ბარმი (ფილდერი 81), კარაგერი, ოუნი (შმიდტი 68), პესკი
 რიმა: ანტონიოლი, ძაგო, ასუნსაო, ნაკატა, მონტელა (ბალო 79), ზაბანი, ტომისი, სამუელი, რინალდი (გიგუ 89), დელვეციო (ბატისტუტა 59), კანდელა
 გაძევება: ტომისი (85)
 მსაჯე: ს. არანდა (ესპანეთი)
 43 688 მყურებელი

ნანტი (საფრანგეთი) 2:1 პორტუ (პორტუგალია) (1:3)
 01 პენა (35), 11 ვიორა (68), 21 არმანი (74)
 ნანტი: ლანდრო, ლასპალი, ფაბრი, ფილე, არმანი, ბერსონი (როშა 86), ზინი, კარდერი, ტურე (მონტე-რუბი 61), მოლდოვანი (ვიორა 61), აბამიდა
 პორტუ: ოფინიკოვი, სერტარო, ანდრადე, ალიზიზა, ნელსონი, დეკო სოუზა (ჩინიო 77), პერდუ-სი, ალენჩივი, ნუნუ კაბუშე, პენა (მარიო 89), დროლევიჩი (სანტოსი 84)
 გაძევება: ალენჩივი (83)
 მსაჯე: ხ. მარინი (ესპანეთი)
 29 000 მყურებელი

მემოთხედფინალი. 8-15 მარტი
 კაიზერსლაუტერნი — კსკ ეინდჰოვენი
 ბარსელონა — სელტა
 ალპაგსი — რაიო ვალეკანო
 პორტუ — ლივერპული



ბარსელონა — ავპ 5:0. ესპანელმა ლუსი ერრიკემ ბერძნებს სამჯერ გაუტანა



ნანტი — პორტუ 2:1. ნანტელი ვიორელ მოლდოვანი (ზემოთ) და პორტუელი სერგეი ოგინიევი



კაიზერსლაუტერნი — სლაგია 1:0. მარიო ბასლერმა ბურთი ჩეხურ კედელს გაატყა



ლივერპული — რომა 0:1. მასპინძელმა რომი ფილდერიმ და სტუმარმა ვენსან კანდელამ ერთმანეთზე გაიწიეს

REUTERS პარსკლანდანი
REUTERS ნანტიდან
REUTERS ლივერპულიდან



ჩვენი მატოქა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

ლაღისლაუ ბოლონი: ჩვენ არ ვიქნებოდით ბოლონი!

ილია და პოლდოვანი გვიჩვენებს დაწვრილ

ალბათ, უკვე შედეგები იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მატჩი ელის საქართველოს ეროვნულ გუნდს 28 მარტს. ამ დღეს, როგორც იცით, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები რუმინეთისას მასპინძლობს.

რეგულარული მატჩისა და დავით ყიფიანის სამწევრო მთავრობის მიერ ჩვენს ეროვნულ ნაკრებზე დატანილი პოლიტიკის კონტრასტულად ემზადება. შეხვედრამდე ერთი თვით ადრე, 27 თებერვალს, ნაკრები კილონში, ბუნდესლიგის „კიოლნს“ ამანაგურად გაევიდებოდა. გამაღებელი სამზადისში რუმინეთიც რუმინელთა მთავარმა მწვრთნელმა ლაღისლაუ ბოლონიმ თბილისში, ამასწინანდელ საქართველო — უკრაინის ამანაგურ მატჩზე, თანამემწე და აპოლოზანი მთავრობის ქართველების დასახვერად. რა წაიღო აქედან აპოლოზანი, ამასაც ვნახავთ, მანამდე კი ჩვენს მატჩზე ვთქვათ.

ბოლონიმ სამზადის გავარტობული, 28-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. სწორედ ამითავე არჩევს მწვრთნელი მათ, ვინც ვერ 24 მარტს ბუქარესტში იტალიას, ხოლო ითხ დღეში თბილისში საქართველოს დაუპირისპირდებიან.

26 თებერვლიდან რუმინელები კვიპროსში წავლენ და ყოველწლიურ ტურნირზე უკრაინას, კვიპროსსა და თანაგვერდელ ლიტვას გაევიდებიან.

რუმინეთის ნაკრების შემადგენლობა სადღესიოდ ფაქტობრივად უძლიერესია, თუ აიაქსელ მეტარე ბოგდან ლობონტს არ ჩათვლით. ლობონტი „აიაქსში“ ძირითადი გოლკიპერის, ფრედი გრემის დუბლიორია. ალბათ, მწვრთნელმა ამიტომაც შეიკავა თავი მისი გამომახებისგან.

თბილისში ვერ ვიხილავთ ვეტერანებს: ვიორგე ჰაჯის, ვიკა პოპესკუს და დან პეტრესკუს. რუმინელთა ვარსკვლავებმა სანაკრებო კარიერა უკვე დაასრულეს, თუმცა მწვრთნელს კვიპროსზე ვერც ვალენსიელი ადრიან ილიესა და ნანტელი ვიორელ მოლდოვა-

ნის იმედი ექნება. ახლა ორივე ტრავმირებულია, მაგრამ ბოლონიმ ისინი მანკ მიწვიდა, ვინმელო ერთი თვის მერე გამოვიანდრთვინებოდა.


— კვიპროსის ტურნირზე ჩვენთვის შედეგი ნაკლებმნიშვნელოვანია, შედეგებით, ეს თამაშები იტალიასთან და საქართველოსთან მატჩამდე ნაყოფიერად გამოვიყენოთ, ილიე და მოლდოვანი ტურნირს გამოტოვებენ, თუმცა ვიმედოვნებ, შესარჩევი მატჩებისთვის სრულ მზადყოფნაში იქნებიან, ამას მეუბნებიან გუნდის ექიმებიც — განაცხადა ბოლონიმ, რომელმაც ეს ფეხბურთელები იხმო:

მეტარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ფლორინ პრუნია (დინამო, ბუქარესტი), იონელ ვანია (შტუტგარტი, გერმანია), კოსტელ ვალკა (ესპანეთი, პლოუსტი);

მეცველები: კოზმინ კონტრა (ალაგესი, ესპანეთი), ფლორინტინ დუმიტრუ, მირელ რადოი, დანიელ პრიდანი (ყველა სტიაუა, ბუქარესტი), იულიან ფილიპესკუ (მეტისი, ესპანეთი), ადრიან იენი (რაბადი, ბუქარესტი), კრისტიან კიუ (აიაქსი, ჰოლანდია);

ნახევარმეცველები: ეუჯენ ტრიკა (სტიაუა, ბუქარესტი), ტუბეროუ ჯოანე მარიუს მალდარასანუ (ორივე რაბადი, ბუქარესტი), დენის სერბანი (ელჩე, ესპანეთი), კოსტელ ვალკა (ესპანეთი, პლოუსტი), მარიუს სოავა, ბოგდან მარა (ორივე არევენი, პიტეშტი), იულიან დამეში (დინამო, ბუქარესტი), კატალინ მუნტანუ (სალამანკა, ესპანეთი), დორინელ მუნტანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), ლაურენტო როსუ (ნუმანია, ესპანეთი);

თავდასხმელები: კოზმინ ბარკაუანი (უნევერსიტატი, კრაიოვა), ადრიან მძალჩია, მარიუს ნიკოლაე (ორივე დინამო, ბუქარესტი), იონელ ვანია (შტუტგარტი, გერმანია), ვიორელ მოლდოვანი (ნანტი, საფრანგეთი), ადრიან მუტუ (ვერონა, იტალია), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი).



ვიკა ფვანია

კვლავ ბრალდებები მტყუნ-მართლის გარჩევა; სასამართლო და ვიკა ფვანია. თუმცა ამჯერად ცოტა სხვაგვარადაა საქმე: ამ დღეებში ვიკა-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო — ვიკა ფვანიას 100 000 ლარის და სახელმწიფო ბაჟის (2 500 ლარი) გადახდა დააკისრა.

თბილისის „დინამოს“ ყოფილი დირექტორატის წევრის, ვიკა ფვანიას მოსარჩელე მიხეილ სურგულაძე გახლდათ. უკვე ვიკა ფვანიაზე ვსვამთ კითხვას, რომ ამ ბიზნესმენისა და კომპანია „ისთერ პრომოუშენის“ მეცადინეობით, საქართველოში ჩამოიყვანეს და ჩვენი ფეხბურთის ბედობლი ჩააბარეს იოჰან ბოსკამპს. ერთობ ხანმოკლე გამოდგა ბოსკამპის ქართული ეპოქა და მას მერე არც „ისთერ პრომოუშენის“ და მიხეილ სურგულაძეს გამოუდევიათ თავი ჩვენი ფეხბურთისთვის. ვიკა ფვანიას კი ლონ-

მბამორჭობი

შვანია ვაქტორი თარბამაძისკან მიმართა

ლონში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ცილისწამებას და ღირსების შეღავტინაში სდებს ბრალს.

კერძოდ, ფვანიას მიერ გახუთ „სპორტის სიახლენის“ ერთ-ერთი შარშანდელი ნომრის ფურცლებზე ნათქვამის გამო, „სურგულაძის მეგობრებს, ებრაელები იქნებოდნენ თუ ქართველი ებრაელები, უნდა ეყრდნობილიყვნა, „დინამოს“ ბაზა 15-17 მილიონ დოლარად“ — ნაწვევტი ფვანიას ინტერვიუდან, რომელშიც მან აგრეთვე განაცხადა, რომ სურგულაძემ, რომელიც 90-იან წლებში „ვესტა ბანკის“ პრეზიდენტი იყო, გაიტაცა ბანკის ფული და ახლა ავსტრიაში ცხოვრობს.

ვიკა-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ფულის გადახდის გარდა ვიკა ფვანიას მიხეილ სურგულაძისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდაც დაავალა და უფლება მისცა, 1 მარტამდე აიხვე სასამართლოში გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

ვიკა ფვანიას გუშინ დაუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.

— სასამართლოს დაწყებამდე შეხვედი სურგულაძის ადვოკატ რამაზ ხუნჯიას, კაცურად დაველაპარაკე და ვუთხარი, რომ ჩვენი დაპირისპირების უკან სხვა ხალხი დგას-მეთქი. შევასხუ-

ნე, რომ მერაბ ჟორდანიას სასამართლო კვლავ გრძელდება და ამ საქმესთან შეხების წერტილები მიხეილ სურგულაძესაც აქვს.

— სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება 1 მარტამდე შეუძლია. მე ისეთი დოკუმენტები მაქვს ხელში, რომლებიც ხელმეწიფება შევებრძოლო მიხეილ სურგულაძეს, მაგრამ ვთვლი, რომ მერაბ ჟორდანიას მერაბ რატიანი და მიხეილ სურგულაძე ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ იღვწოდნენ. მართალია, იყო დარღვევები, მაგრამ იძულებითი. ჟორდანიას უკან იდგა ხალხი, რომლებიც მართავენ ამ პროცესს. ჟორდანიას ახლა ფაქტობრივად იარაღი შეუღებ აქვს მიღებული, თვითონ მას იარაღი არ გააჩნია.

მე კი მაქვს იარაღი, მაგრამ არ მინდა, იმ ბრძოლაში გამოვიყენო, რომლის წამქეზებელიც კანა თარბამაძეა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიხეილ სურგულაძე სწორედ თარბამაძის წისქვილზე ასხამს წყალს. ჰოდა, მეც მოვეწოდებ სურგულაძის მხარეს, გამოვიხილდნენ, ვინც მოვეწოდებ და ამ ბინძურ თამაშში, ნელარ ჩაერთვებიან. ჩვენი დაპირისპირება არც ჩვენ და არც ქართულ ფეხბურთის კარგს არაფერს მოუტანს.

დავით თარბამაძე

კაი გულბარულს — კაი აჭარული

შავთა სვლით „ბათუმი“ გათამაშების ცხრილში ახლა ოდენ მეშვიდეა. ბუნებრივია, ტრადიციები აჭარელებს გაცილებით მეტს ავალდებულებს. კლუბის ხელმძღვანელობამაც „ბათუმი“ ოცდობი შეგებაზე მიავლინა ბულგარეთის პატარა ქალაქ ტრიანში.

ასობა ბაღაძის შეგონებამა იქ ხუთი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს, ვერც ბულგარეთის მესამელივისიანი „იმპოლი 97“ დაამარცხეს 1:0, გოლი აფხაზკამ გაიტანა. შემდეგ ასევე შესამედიველი ველიკო ტარნოვოს „ეტარა“ 3:0 დაიბრვიყეს ტულუშის, ყულევიშვილის და დარჩიდის გოლებით. მესამე ცდაზე კი ზღვისპირელებმა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა თერთმეტ კაცს მოუყარეს თავი, რადგან მეტოქედ ერთ-ერთი, ბულგარულ 19-წლამდელითა გუნდი ერგოთ. შეხვედრა „ბათუმის“ გამარჯვებით დასრულდა — 2:1. ჩვენებურთაგან თავი დარჩიქმ და ყულევიშვილმა გამოიჩინეს. ამის შემდეგ „ბათუმმა“ მაჭუტაძის და დარჩიდის გოლებით სპორტ კლუბ ტრიანსას სძლია 2:0, ხოლო ბოლო საკონტროლო მატჩი კი 1:2 წააგო მესამელიველ გაბროვოს „ჩარდაფონთან“, რომელსაც მუჯირმა გაუტანა.

— ტრიანში გუნდის ნაყოფიერი შეკრებისთვის ძალიან კარგი პირობები იყო. ორჯერად ვარჯიშებს ვატარებდით, საკონტროლო მატჩების დღეებში კი ერთხელ ვვარჯიშობდით. კარგმა ამინდებმაც ხელი შეგვიწყო. ბულგარეთში 22 ფეხბურთელი წავიყვანეთ და საკონტროლო თამაშებში ყველანი გამოვცადეთ. გვინდოდა, ითხი ახალგაზრდა ფეხბურთელიც გვეახლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისი საშუალება არ იყო. ამ 22 ფეხბურთელიდან 3-4 კაცს ალბათ გუნდიდან გავუშვებთ და მათ ნაცვლად იმ ახალგაზრდებს ავიყვანთ. საშემოდგომო ეტაპის შემდეგ დამატებული ფეხბურთელებიდან „ბათუმს“ ირაკლი შერგელია დატოვებს. ის ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ მარცხენა ნახევარმეცველის პოზიციაზე გუნდში მძაფრი კონკურენციაა — მუჯირი, რომანბაძე, გველესიანი. ჰოდა, ჩვენც ირაკლი შენგელიას რურციუ, სხვა გუნდში გადასულიყო, რადგან ასეთ პერსპექტიულ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა „ბათუმის“ უახლოეს მისწავლას, რა თქმა უნდა, ექვესულში მოხვედრისთვის ეიბრობებო. კლუბის ხელმძღვანელობის მონდობით კარგი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ და შედეგიც ანალოგიური მოგვეითხება — გვითხრა გუშინ ბათუმელთა დამრიგებელმა ასობა ბაღაძემ.



პაატა მაჭუტაძემ (ბურთით) „ბათუმისთვის“ გატანა განაახლა

ნებსაქვე დაღის ნააგებინა



გიორგი ნემსაძე კილონში ნაყრებს კვლავ უკაპიტნებს

გუშინდინ შოტლანდიის ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი საქართველოს ნაკრების კაპიტნის გიორგი ნემსაძის „დაღიმ“ შინ „დაწვერმლაინთან“ ჩაატარა, ბევრის გასაკვირად მ:1 დამარცხდა და სატურნირო მდგომარეობაც გაიუარესა. ამ მატჩში გიორგი ნემსაძეს არ უთამაშია და, როგორც ჩვენი შოტლანდიელი კოლეგები ამბობენ, ქართველის მოედანზე არყოფნა დაეჭურ კიდევ გუნდსო.

ჩვენ კი გუშინ შევხვდით გიორგი ნემსაძეს და „დაწვერმლაინთან“ უთამაშებლობის მიზეზზე ვკითხეთ:

— უმნიშვნელოვანესი სამი ქულა დავკარგეთ. დაცვაში ცუდად გვქონდა

საქმე. მეტოქემ ერთი ხომ გაგვიტანა და ერთი-ორჯერაც უნდა დავესაჯეთ. მე დისკვალიფიცირებული ვიყავი, ექვსი ყვითელი ბარათის გამო გამოვტოვე ეს მატჩი. ჩემს გარდა გუნდს კიდევ ორი ძირითადის მოთამაშე აკლდა. მწვრთნელ ივანო ბონეტისაც მატჩისშემდეგომ პრესკონფერენციაზე აღუნიშნავს, ძირითადის სამი ფეხბურთელი გვაკლდა და დაცვაშიც ბევრი შეცდომა გვქონდაო — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, რომელიც 27 მარტს „კილონის“ წინააღმდეგ კვლავ საქართველოს ნაკრების კაპიტნის სამკლავური გაუძღვება ეროვნულ გუნდს.

დავით თარბამაძე

პოპოტიკა, უფალი

სპეტიცროველი მიდიან ქართველი მსაჯები. მამა არსენის კურთხევას ელიან და თავიანთი ავტორგრაფებით და-მშვენებულ ბურთს მართმევენ მოძღვარს. მერე ჩემპიონატის სიმბოლე ერთიორად დააწვებთ მხრებზე შავონებს...

დისციპლინის და პროფესიონალიზმის მოყვარე სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცმა ანატოლი მილჩენკომ საგულდაგულოდ მოუყარა თავი ჩემპიონატის განახლების წინ თავის სამწყსოს. მესამე დღეა, მსაჯები შეკრებაზე იმყოფებიან დიდუბეში, სასტუმრო „შეგარდენში“ და საჩემპიონატოდ გაცხოველებით ემზადებიან.

21 თებერვალს მილჩენკომ „ეროვნულზე“ შეკრება მსაჯები ავღრის მიუხედავად, ფიზიკური ტესტირება კარგი შედეგებით დასრულდა. გამოცდას ყველამ გაუძლო. მილჩენკოს მხოლოდ ორდინიძე, ჩოჩიშვილი, შილაკაძე, ზუციშვილი და მალაღორაძე არ გამოუცდია. მათ საპატიო მიზეზი ჰქონდათ და 10 მარტს მიეცემათ გამოცდის ჩაბარების საშუალება. სამსაჯო სარბიელს უბრუნდება ზონელი მსაჯი თემურ მაჭარაძე. „ეროვნულზე“ მანაც ირბინა, მაგრამ არბიტრისთვის განკუთვნილი ნორმატივი ვერ ჩააბარა და 10 მარტს განმეორებით ცდის ბედს.

გუშინ მსაჯებს „შეგარდენში“ თეორიული ტესტირება ჩაუტარდათ. ამ საქმეში მსაჯონები დღესაც გამოცდიან თავს, საბოლოო შედეგებს შეაჯამებენ და სექტიცროვის სკენ გაემგზავრებიან, მერე კი ჩემპიონატიც განახლდება...

ბაბა კვანალიანი



ანატოლი მილჩენკომ სამწყსო შეკრება

შენ, ჩემო გუნდისიგოდო

ცოტას და საქართველოს ახალ-გაზრდული ნაკრების წევრის, გიორგი დეკანოსიძის ოფიციალური დებიუტი შედეგა გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში.

„ფიურტის“ ახალწვეული ქართველი კვლავაც პირველ გუნდთან კი ვარჯიშობს, მაგრამ ფიზიკურად ჯერაც მოსალონებურებელია.

— გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიუნტერ ერკენბრეხერმა გუშინ კარგი ამბავი მახარა. დამპირდა, 2 კვირაში დებიუტი გექნება და შენ იცი, როგორ მოემზადებო — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას დეკანოსიძემ.

ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად ქართველი ნახევარმცველი გერმანიაში ჩასვლის დღიდან კვირაში ორჯერ ტრენაჟორებზე ვარჯიშობს და „ფიურტში“ დებიუტზე ოცნებობს: „მწვრთნელის სიტყვებმა იმედი მომცა, ვგრძნობ, თავს არ შევირცხვენ“.

გუშინწინ ერკენბრეხერმა თავისი გუნდის ახალწვეულები რეგიონალურ კლუბებში „ათამაშა ამხანაგურად“. „ფიურტი“ 1:3 დამარცხდა, მაგრამ დეკანოსიძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო თანაგუნდელთა შორის, მატჩიც სრულად ჩაატარა და თავისიანების ერთადერთი გოლიც გაიტანა.

სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ უთხრა ერკენბრეხერმა ქართველ ნახევარმცველს დამამედეგელი სიტყვები.

ბაბა კვანალიანი



გიორგი დეკანოსიძე

დაიბუვიდა გული, შუიტანა ფული

სუთ დღეში უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი განახლდება. 3 მარტს პირველლიგელებიც ათამაშდებიან და რა გასაკვირია, რომ გუნდებიც დიდ სამზადისში არიან. დასაკარგავი ქულები და ჩემპიონატიდან მოკვეთა ვერაფერი ჰქონს პეტეია, არადა, ზოგიერთი კლუბი მართლაც უსაბოვნო რეალობის წინაშე დგას... ისევ და ისევ ფედერაციის მოვალე გუნდებს ვგულისხმობთ.

ფაქტია, სფფ-ის მკაცრმა ულტიმატუმმა გუნდები გამოაფხიზლა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ფედერაციას დღესდღეობით ორადორი უმაღლესილიგელები მოვალე დარჩა. თსუ-ს 1000 ლარი აქვს გადასახდელი, „გორდას“ — 800. რამდენიმე დღის წინ ვალი სრულად დაფარეს და სფფ-ის ბიუჯეტში შეავსეს „დილაში“, „ბათუმმა“ და „მერანმა“. ამ სამუშაო-დან ყველაზე მეტი „მერანს“ მართებდა — ავჭალელებმა 2 200 ლარი შუიტანეს ფედერაციის საღარიბოში.

ვალის ნაწილი — 3 000 ლარი გაისტუმრა „ხობმა“, თუმც მისი თანალიგელები ჯერჯერობით ფულის გადახდაზე არაფერს ფიქრობენ.

თუ გახსოვთ, პირველი ლიგის საშემოდგომო ეტაპის ბოლო ტურში, ზუგდიდში, „ზუგდიდისა“ და „შუქურას“ მატჩისას დიდი არეულობა მოხდა. სადისციპლინო კომიტეტმა აყალმაყალის მითავე „ზუგდიდის“ პრეზიდენტ გელა ბუკიას ფეხბურთში საქმიანობა აუკრძალა, რამდენიმე დღის წინ კი ხმები დაირხა, „ზუგდიდი“ ეროვნულ ჩემპიონატს ტოვებსო. ამასთან დაკავშირებით სფფ-ში გვითხრეს, რომ გუნდის სპონსორობა ბუკან გუნდას უკსრია და ვალის გადახდაც ალუთქვამს სფფ-ის ჩინოსნებისთვის. მოკლედ, „ზუგდიდი“ ითამაშებს, რამდენიმე დღეში კი გუნდის ახალი პრეზიდენტის ვინაობასაც გააკვევს.

ბაბა კვანალიანი

საშუასაზონრო მიდი-მოდო

	ბასხვისაბულები	ახალწვეულები	საზონთობორისი
ლოკომოტივი გეგ ნოდია	ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე (ტორპედო), ხიზანიშვილი (ფულევი, ინგლისი), თ. აფციაური (დინამო), გომაროვი (ტრანსფერზა), დავითაშვილი (?), რევაზ ძიძუაშვილი (მთავარი მწვრთნელი)	ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (მუტნიკი, პოლონეთი), ანაბაძე (დინამო), კვიციანი (სოციალისტური), ნინუა (ბელაჯი, ბულგარეთი), გ. კვეციანი (მერანი), გ. ზოიძე (ლოკომოტივი), მანჭარაძე (თბილისი), შედანი (ზოოტექნიკი), კვეციანი (ტორპედო), გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი)	გორდა 0:0, დლა 1:2, ვაზოი-ვაზოი (რუსეთი) 1:1, ზემინი (იუგოსლავია) 0:0, კრისტალი (რუსეთი) 0:2, ელვი კორეა (კორეა) 1:1, ტორპედო ზილ (რუსეთი) 0:4, დინამო (რუმინეთი) 2:0, ურალნი (რუსეთი) 1:0
ტორპედო დავით ყაფიანი და რევაზ ძიძუაშვილი	ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შლამბერიძე, ახვლედიანი, კ. კვეციანი (კოლხეთი), ზედაგანი (დინამო, რუმინეთი), თურმანიძე (ნიკა, უკრაინა), ჩხეტიანი, გ. გოგოლაძე, ბერიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), კვეციანი (ლოკომოტივი), მეგრულაძე (ლიკ, საბერძნეთი), მამალაძე, ძამასხელი (იბერია შეგარდენი), მუცროლაძე, ვაჩიბერაძე (?)	დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვითა (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, ვაშაძე, ვამაკიძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირგვინი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი), გვარამაძე (კრილია სოცტეკი, რუსეთი), რევაზ ძიძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი)	კოლხეთი 0:0, ფაშტიკ აკ ალტინი (ყრგიზეთი) 3:0, შამქრი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0, მონტენე (ბელგია) 3:0, მოლენბეკი (ბელგია) 2:0, როსტესლამში (რუსეთი) 1:1
დინამო ?	ქემოკლიძე, პ. ვინჭარაძე, ვაშაძე (ტორპედო), ანაბაძე (ლოკომოტივი), შელია, რუხაძე, ქარდავა (ალანია, რუსეთი), სიჭინავა (კრისტალი, რუსეთი), გადელია (ტორპედო ზილ, რუსეთი), შ. ხუჯაძე (მერანი); რევაზ არეღაძე (მთავარი მწვრთნელი)	იაგორაშვილი (პროჩენ, კიოლინი, გერმანია), ჩივაძე, მიქუჩაძე, მანკაძე, (დინამო 2), თ. აფციაური (ლოკომოტივი)	დლა 4:0, გორდა 4:3, სონი 2:1, მერანი 1:0, 0:2
მიტ ჯორჯია თემურ მახარაძე	დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), თაყაძე (დლა)	გოგობერიძე (ანტი, რუსეთი), არსოშვილი (ნიკა, ტრნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, ნუნუაძე, ადამია (თსუ), ფეციურიშვილი (ვალენსია)	სონი 2:1, თსუ 2:0, არუ (მედიკი) 1:1, აკოლი (იტალია) 6:0, სტიაუა (რუმინეთი) 0:1, ლეტესი (ბულგარეთი) 0:1, პოლონია (პოლონეთი) 2:2, მეტალურგი (ზაპოროჟი, უკრაინა) 1:1, დლა 4:1
კოლხეთი სოსო ფილია	ახალკაცი (ტორპედო), მალაქელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიჭია, ბ. ჩიჭია (დლა), კედელაშვილი (გორდა), დავითიძე (მერანი), თიდევი (კოლხეთი 2), ხუჭუა (?), რუსეთი, კიკლიაშვილი, გოგიაშვილი (?)	ქაჩაბია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნინუაძე (სონი), მემულაძე (იბერია შეგარდენი), მალაქელიძე, ახვლედიანი, კ. კვეციანი (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩლაძე, კურაშვილი (კოლხეთი 2)	ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:0, დინამო (სტაეროპოლი, რუსეთი) 2:2, 0:2, ოზლონი (კიევი, უკრაინა) 0:0, ბალკანი (ტმეკანი, ბულგარეთი) 0:0, სლანჩევი ბრიკი (ნესტერი, ბულგარეთი) 0:1
მერანი ოთარ გაბელია	პოდლეხნი (ზარია, უკრაინა), კ. კვეციანი (ლოკომოტივი), კობესაშვილი (სონი), კაკუბავა (?), რუსეთი; დავით ვიშკარანი (მთავარი მწვრთნელი)	მალაქელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზ. კვეციანი (მეტურა), რ. ონიანი, გოციტაძე (ზუგდიდი), დავითიძე (კოლხეთი), შ. ხუჯაძე (დინამო 2), აბიძე (ვოლგარ გაზრობი, რუსეთი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი)	დინამო 0:1, 2:0, იბერია შეგარდენი 2:1, დლა 3:2
ბათუმი ასლან ბაღაძე	ზედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქაჩაბია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდაშვილი, თარგამაძე, ბ. შენგელია (სონი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზა არიანი), ჩიხელი (ანტი, რუსეთი), სიხარულაძე, ქერაშვილი (?)	ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, თ. ტელუმი (არ თამაშობდნენ)	კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1, იამბოლი 97 (ბულგარეთი) 1:0, ეტარი (ბულგარეთი) 3:0, სპორტკლუბი ტრინავა (ბულგარეთი) 2:0, ჩარდაფონი (გაპროვო, ბულგარეთი) 1:2
სიონი სპარტაკ არჩვაძე	ნინუაძე (კოლხეთი), გამაცხელიძე, პეტრიაშვილი, დიმიტროშვილი, მ. გოგოლაძე (?)	თარგამაძე, ბ. შენგელია, სიდაშვილი (ბათუმი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), კ. მელქაძე (მლანი), ყოლბაია (ზუგდიდი), გუგუნავა (თსუ), კობესაშვილი (მერანი)	ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2, გორდა 0:0, იბერია შეგარდენი 0:0, 0:0
გორდა გია გვეგუჩაძე	ივეიანი (იბერია შეგარდენი); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი)	ზედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ), ვლადი (გურია); გია გვეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი)	დინამო 3:4, მლანი 3:2, ლოკომოტივი 0:0, სონი 0:0, თბილისი 2:0, ზოოტექნიკი 5:0, შუქურა 1:2, მეტალურგი 1:0
დილა ვაჟა ხაჩირაშვილი	მდიანი (ივერია), ციციშვილი (ცხინვალი), გ. ტულუმი (თამაში მიატოვა)	რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიჭია, ბ. ჩიჭია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია)	დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1, თსუ 0:2, მერანი 2:3, ვიტ ჯორჯია 1:4
თსუ მერამ კოჭლაშვილი	გოცირიძე, ნუნუაძე, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაძე (კორია ?)	სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ქილაძე, ელვანიშვილი, დათუნაშვილი, დ. სულავა, ბერიშვილი, ე. მერებაშვილი, შიშაშვილი, ჯობაძე, ა. ლობჯინიძე (ვიტ ჯორჯია 2)	ვიტ ჯორჯია 2:2, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 1:0, 1:0, ბათუმი 3:1, კოლხეთი 2:1, დლა 2:0
იბერია შეგარდენი ნოდარ აუთია	ს. გვირაძე (ტაურია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მემულაძე (კოლხეთი), ვარდანაძე (სამგურალი), ჩოხიძე, გ. ნოზაძე (?)	მამალაძე, ძამასხელი (ტორპედო), ტარიელაშვილი (თორი), ივეიანი (გორდა), მალანია (ავაზა), ჩლაიძე (არ თამაშობდა), ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი)	შეგარდენი 3:2, ცხრამეტლამდელები 1:2, სონი 0:0, 0:0, მერანი 1:2

შანიშვანა: საბოლოო მსოლოდ დახრილი ტრანსფერაბია

პიტარება საუცხოოა

ზინაურ მსაჯს უფრთულს ზიციდი

რად ვიღონოთ, თუ ჩვენი თანამემამულე კორუმპირებულია და შესაბამისად, საქმეს არ აკეთებს? ქართული რეცეპტი ასეთია: უცხოელი უნდა მოიწვიო და იმის იმედოდ იყო, რომ კორუფციის ჭაობში არ ჩაიფლოება.

ეგებ ქართველებსგან ისწავლეს, ეგებ თავდაც მიხვდნენ — ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ბუქარესტის „სტიაუს“ ხელმძღვანელობამ რუმინეთის ჩემპიონატში უცხოელი მსაჯების მიწვევა მოითხოვა.

„სტიაუს“ მწვრთნელმა ვიქტორ პიცურკამ თქვა, მნიშვნელობა არა აქვს, სადაური მსაჯები იქნებიან, ოღონდ აქაურებს ნუ დამანახებთო.

რუმინეთის ჩემპიონატში ახლა შესვენებაა, 10 მარტს განახლება და „სტიაუს“ ლიდერია. ბუქარესტელები ამბობენ, უცხოელთა მოწვევის პრაქტიკას თუ ვერ დაემაკვიდრებთ, ეგებ ექსპერიმენტის სახით ორ ტურში მაინც ვცადოთო. რატომ ორ ტურში და არა ერთში ან სამში? „სტიაუს“ ამ მოთხოვნას ახსნაც აქვს. 10 მარტს დელაქალაქური გუნდი „ბაკეუს“ ხვდება, ხოლო მომდევნო ტურში თავის უპირველეს მეტოქე „დინამოს“. სწორედ ამ მატჩისთვის სურს „სტიაუს“ დამოუკიდებელი არბიტრი, შიშობს, რუმინელთა მექრობების ამბავი რომ ვიცით, „დინამოს“ მსაჯი ნაყიდი არ ჰყავდესო.

ნახპარი სპორტულ ტურიზმად

რად დაგვაიწვევს გასულ სეზონში სერია A-ს ბოლო, გასაცარ ტურს — როგორ დაკარგა „იუვენტუსმა“ პერუჯაში ჩემპიონობა.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მრავალთა აზრით, საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო. თუნდაც იმ მიზეზით, რომ მსაჯთა შეცდომების გამო ტურიზმმა გუნდმა ხუთი შეხვედრა თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა. ჰოდა, „იუვენტუსის“ ამდენი ქულა რომ არ ეჩუქებინათ, სკუდეტოს მფლობელის ვინაობა ბოლო ტურამდე კარგა ხნით ადრე გაირკვეოდა. მოკლედ, „იუვენტუსს“ მსაჯებთან პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ...

ტურიზმთა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიკი შვოსანთათვის ერთობ უსიამოვნო რამ თქვა. კი, გასაგებია, მსაჯობა ძალიან ძნელია, გადაწყვეტილების მისაღებად ორი წამიც არ აქვთ და, შესაბამისად, ხშირად ცდებიან, მაგრამ ჩვენ, დაზარალებულებმა რა დავაშავეთო — ჩივის მოჯიკი. შეცდა? დაჯარიმდეს! — ასეთია მსაჯთა შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლის ტურიზმული მეთოდი.

მსაჯთათვის ჯარიმების დაწესება სამართლიანობის აღდგენისთვისაც ყოფილა საჭირო. ფეხბურთელები მსაჯებზე არანაკლებ ნერვიულობენო, თქვა მოჯიკი, მაგრამ ფეხბურთელებმა ნერვიულობის გამო რაღაც თუ მიჰქარა, უმაღლესიან და გვარიან ჯარიმასაც ახდენენ, მსაჯი კი სასჯელისგან თავისუფალიაო.

მოჯიკის აზრით, ამ სეზონში მსაჯის შეცდომებმა „რომა“ — „ბარსა“ და „რომა“ — „ლანჯის“ მატჩების ბედი განსაზღვრა. ჩვენ კი დავინტერესდეთ, გასულ სეზონში, მაგალითად, „იუვენტუსი“ — „პარმას“ შეხვედრაში სტუმრებს ასპროცენტიანი გოლი რომ არ ჩაუთვალეს, რატომ არაფერი თქვა ტურიზმთა გენერალურმა დირექტორმა? ისე, მსაჯები რომ ხშირად ცდებიან, საკმაოდ, ცხადია, არ არის.



რენე იგიტა — მორიელის ახალგაზრდობა

მორიელი გასუქდა იგიტა ველარ იკბინება

გასვლამ რენე იგიტა? ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი კოლორიტული მეკარე, ჯამბაზობით რომ ართობდა სტადიონზე მისულ ქომაგებს. ინგლისელები ახლაც იხსენებენ კოლუმბიელის მიერ „უემბლიზე“ ჩატარებულ ილეთს — „მორიელს“. გარდა ამისა, რენე კიდევ ბევრ უჩვეულოს სჩადიოდა მინდორზე, ერთგვებოდა შეტევებში, ურტყამდა ჯარიმებს...

ბოლო ხანია, რეჟისორი რენე იგიტა სადაც გაუჩინარდა, კლუბებში გამოდიოდა, „რეალ კარტახენასი“ და მექსიკური „ვერაკრუსის“ კარში იდგა. ახლა კი ის კვლავ დაუბრუნდა დიდ სარბიელს — ამიერიდან ერთ-ერთი კოლუმბიელი გრანდის, „ატლეთიკო ხუნიორის“ ღირსებას დაიცავს. ეს კლუბი ლიბერტადორესის თაზუ თამაშობს (რაც სამხრეთ ამერიკაში ჩემპიონთა თასია) და იგიტაც იმიტომ იყიდეს, რომ მისი გამოცდილება დიდად წაგვადგებაო.

პირველი თამაში იგიტამ არგენტინელი „როსარიო სენტრალის“ წინააღმდეგ ჩატარა. მაყურებლები უნდა გენახათ, სულ მის სახელს გააყვიროდნენ და რენემაც არ მოაწყინა გულშემატკივრები, თუმცა „უემბლიზე“ შესრულებული „მორიელის“ კვლავ გამოერება ადარ უცდია.

იქაური რეპორტიორები იუწყებიან, რომ იგიტამ აშკარად მოიმატა წონაში, რის გამოც ადრინდელზე გაცილებით ზანტად ირგება. წლებიც თავისას შეება, იგი 34-ისა მოიყარა, თან ბოლო ხანს ხომ ყველასთვის უცნობ კლუბებში თამაშობდა.

„ატლეთიკო ხუნიორის“ და „როსარიო სენტრალის“ მატჩი კი, რომელიც იგიტასთვის სადებიუტო იყო, კოლუმბიელების გამარჯვებით დასრულდა — 3:1. „ატლეთიკო ხუნიორის“ მომავალი შეხვედრა ხუთშაბათს, ასევე არგენტინელი კლუბის, „ველეს სარსფილდის“ წინააღმდეგ ელის. საერთო მოსაზრებით, კოლუმბიურ გუნდს თასის მოგება ძალუძს. აქვე ვთქვათ, რომ ატლეთიკო ხუნიორისელები სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები ბოლოს 1994 წელს გახდნენ.

რესტორანი მზიანი ღამე



განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- * პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- * გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3 (ყოფილი სირაკის სასტუმროს პირველი სართული) მობრძანდით, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით


Table with multiple columns containing technical specifications, material codes, and numerical data. The table is organized into sections, including 'პოლანდია. I დივიზიონი' and 'შეტყობილი მატერიის დადგენილება'. It lists various materials like 'ნაიმეგენი-სპარტა' and 'ბერლინი-სენტი', along with their respective quantities and dimensions.





მეტ ფათერაპიანი

ფილადელფიელი მეტ გეიგერი დიასაც კარგი კალათბურთელია და წლევეანდელი ნბა-ს ჩემპიონატში წამოქარულ იქაურ „სიქსერს“ დიდდაც შევლის, მაგრამ ფათერაპიან ცხოვრებას მაინც ვერ ასცდა: ჯერ იყო და ტრავმის გამო წლევეანდელი „ოლ სტარი“ გამოტოვა, მერე მწყობრში დაბრუნებული პირველსავე თამაშში დობინგზე შეამოწმეს, ამხილეს და კიდევ ორი მატჩი გამოატოვებინეს, ამ სასჯელთა მოხდის შემდეგ კი, ასევე პირველ თამაშში ვილაც ვანუგერელმა ისე ჩაპრა იდაყვი, რომ ტვინშერყეული გაიყვანეს მოედნიდან. ისე, ფილადელფიამ 107:91 მოუგო კანადელ სტუმრებს, მეტმა კი 12 ქულის მოგროვება მოასწრო.



მოდი, თუ მოსასვლელი ხარ

აბი, როგორ გაინელა ეს ამბავი. „ფილადელფია ფლაიერზის“ ჰოკეისტთა გუნდის მთაკაცი მეგობრე ერიკ ლინდროსი გადადის და ვერც გადადის „ტორონტო მეიფლ ლივზში“. გადასვლა იმგვარად გაინელა, რომ ახალი ლიდერის მოლოდინმა ნერვები დაანყვიტა ტორონტოელ მოთამაშეებს და გულშემატკივრებს. „ლივზის“ საქმე თანდათან უკან წავიდა და თუ გუნდი არ გამოფხიზლდა, ეგებ ფლვი ოფს გარეთაც დარჩეს. ტორონტოელი ფანები კი ლინდროსისთვის გამზადებულ საკლუბო სვიტერს აფრიალებენ, თითქოს ამბობენ, თუ მოდიხარ, მოდი, თუ არა და ერთი შენიცო... როგორც ერთ ძველ ლექსშია: „მოდი, თუ მოსასვლელი ხარ, მომწყინდა შენი ლოდინი“.

მაიერი ბრიზლიზა

ამერიკის მთებში, პანტსვილის ახლოს, განთქმულ სასლალოთ ბილიჯ „გრიზლიჯ“ გამოსულა სამთო თხილამურების ავსტრიელი დიადი ჰერმან მაიერი და მსოფლიო თასის მორიგი ეტაპისთვის ემზადება. „გრიზლიჯ“ კი იმითაცაა ცნობილი, რომ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის სწრაფდაშვების შეჯიბრი სწორედ აქ გაიმართება.



მადრიდის ჯარიმო

მადრიდის მერი ხოსე მარია ალვარეს დელ მანსანო და ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი ალფრედო გოიონენი თითქოს შეუძლებელს არაფერს ითხოვენ თავიანთ ერთობლივ პრესკონფერენციაზე: 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ამ ზღაპრულ ქალაქს სურს.

აი, ხელფასი

ეს მიწაზე გაშლართული ჯეილი „ტექსას რეინჯერსის“ ბეისბოლისტი ალექს როდრიგესია, მისი სახსრების მოვლით დაკავებული კაცი კი ამავე გუნდის მწვრთნელი რეი რამირესია. ბორტ შარლოტში სეზონისწინა მზადებაა გახურებული, როდრიგესი კი ის კაცია, ვინც თავისუფალ აგენტად მოსულა რეინჯერსთა გუნდში „სიეტლ მარინერსიდან“ და ათწლიან ჯამაგირად 252 მილიონი დოლარიც მიუღია. ამნაირი ხელფასი ჯერ არცერთ ბეისბოლისტს არ დასიზმრებია.



დუბლინური ბართობა

დღეს დუბლინში ტრადიციული, ძველ გარსკვლავთა საჩოგბურთო ტურნირი იწყება. იქ ჩასულან ანრი ლეკონტი, პატ კეში, ჯონ ლოიდი და სხვანი. ამათ კი ალბათ იოლად სცნობთ: ბიორნ ბორგი და ჯონ მაკინროი გახლავან.

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯიანი
დირექტორი ბიორბი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრაიული
ტექნიკური რედაქტორი მახინჯაძე
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროშაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ვიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მანა აბზიანიძე, ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე
ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი - 79, საზოგადოებრივი ქუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვებ-გვერდი http://www.sarbieli.com.ge

REUTERS მადრიდიდან

REUTERS პანტსვილიდან

REUTERS დუბლინიდან